№ 820 სამშაბათი, 18 მაისი. 1896—1899 სამშაბათი, 18 მაისი. № 820

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თავ.-აზნაურთ ქარვასლა
...ის-მომწერნი გაზეთის დახაკვე... მიმართავენ რედაქციას დილის ...-3 საათამდე და საღამოს 6—7 ... „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...ად-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
...რის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.
Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

## წლიური საერთო კრება

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების" წევრთა კრება დანიშნულია 29 მაისს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში განსახილველად შემდეგი საგნებისა.

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წელს.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.
3) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.
4) მოხსენება განსვენებულის ალ. რთინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.
5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.
6) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



### ქეფირი და კუმისი



ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორთნასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—20) ო. კორთნა.

### ოთქლით მომუშავე ტამბა
### ექვთიმე ი. ხელაძისა

სტამბა — ტელეფონი 648. — ტელეფონი 648. — სტამბა

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკლ. ახალ შენობაში.

(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე საბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები პ. ბერტჰოლდის ასო-სასხმელიდამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შესაძლებელი დახელოვნებული ოსტატებით ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ადგილობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ფასისათვის ხელმისაწვდომად. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—31)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერაბი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებლის ჩამობრძანება ტფილისში. კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი გ. ს. გოლიცინი პეტერბურგიდან გამობრძანდება 21 ამ თვეს, თავის საგზაო კანცელარიით. მისი ბრწყინვალება გზათ დაათვალიერებს კავკასიის მადნის წყლებს და შემდეგ საზაფხულოთ დასახლდება კოჯორში, სადაც გადატანილ იქნება მისი კანცელარია და სამხედრო შტაბი.

*** ახალი დანიშნულება. კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის ბუხგალტერის თანაშემწეთ დანიშნულ იქმნა ქუთაისის სახელმწიფო პალატის ბუჰგალტერი ბ-ნი აზარევიჩი.

*** ახალი დანიშნულებანი. ვიცე დირექტორათ კავკასიის მთავარ მმართებლის კანცელარიისა დანიშნულ იქმნა პოლკოვნიკი გენერ. შტაბისა ვ. თ. ტროფიმოვი.

*** ტფილისის განყოფილების სახელმწიფო ბანკის. უფროსად დანიშნულ იქმნა, ქალაქ კურსკის ამავე ბანკის უფროსი, ბ-ნი ნიკიტინი.

*** ტფილისის კრუჟოკი. კვირას 16-ს მაისს გადავიდა საზაფხულო შენობაში, სადაც ჩვეულებისამებრ იმართება საღამოები ყოველ კვირაობით და ხუთშაბათობით.

*** ყანჩაველის საქმე. ქალაქ გორში ტფილისის ოლქის სასამართლო 26 ამ თვეს განიხილავს აზნაურ ყანჩაველის საქმეს, რომელსაც ბრალდება თავისი ნათესავის ილიკო ყანჩაველის მოკვლა ამ წლის ახალწლის დღეს სოფელ ახრისში.

იგივე სასამართლო განიხილავს 28 ს ამ თვეს საქმეს ოსის ფარსაფილიშვილისას, რომელსაც ბრალდება აზნაურ სოფელ ზემო აჩაბეთის, რევაზ სიმონის-ძის გვერწითელის მოკვლა, მამულის თაობაზედ. ფილაშვილს იცავს ნაფიცი ვექილი გ. ს. ტერ-სტეფანოვი.

სასამართლოში იქნებიან: თავჯდომარეთ ბოგაევსკი და წევრებად პადალკო და ექიმი მოსტოვიჩი, ბრალს დასდებს ჯალალოვი.

ტფილისის ოლქის სასამართლოს მბრალმდებელი ბ-ნი რიბინი დანიშნულ იქმნა ამავე სასამართლოს წევრათ.

*** სამრეკლოს კურთხევა. კვირას 16 ამ მაისს აკურთხეს წმ. მამა-დავითის ეკკლესიის სამრეკლო კურთხევაზედ მრავალი სამღვდელოება და ხალხი დაესწრო.

*** მომღერალი ქალი. „ახალ მიმოხილვის" სიტყვით, ჩვენი ცნობილი ქალი კ. ფ. გურამიშვილისა გამოვიდა სამზღვარ გარეთ განსაკუთრებით პარიზში სცენაზე, სადაც, როგორც იქაური გაზეთები გვატყობინებენ, დიდი ქება და დიდება მოიპოვა და დაიმსახურა ამ მოკლე ხანში.

*** მადლობის გამოცხადება. უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზე-

თის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჟურნალ „Кавказское Сельское Хазяйство-ს,“ რედაქციას, რომელიც აგერ რამოდენიმე წელიწადია გვიგზავნის უსასყიდლოდ ჟურნალს მონპელიეში მყოფ კავკასიელ სტუდენტობას და აგრეთვე გაზეთ »Кавказъ«-ის რედაქტორს, რომელმაც დაგვითმო თავისი გაზეთი ამ წლიდგან უსასყიდლოდ. მონპელიეში მყოფ კავკასიელ სტუდენტების მხრივ.

გ. ლეხურელი

*** V. რაგვარია ქართველ მუშების შინაური ცხოვრება. ამ კითხვებზე ერთი პასუხის მოცემა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ყველგან ერთნაირად არა აქვთ ჩვენ მუშებს მოწყობილი ყოფა მდგომარეობა. რამდენად უფრო შორს მიდის თავის სოფლიდგან, იმდენად უფრო იცვლის სახეს მუშის გარშემორტყმული პირობები, რომელნიც თავიანთ მხრივ იწვევენ ამა თუ იმ მდგომარეობას. რამდენად უფრო დაშორებულნი არიან ჩვენი მუშები ამიერ-კავკასიის საზღვარს, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ—საქართველოს, იმდენად მჭიდროა მათი ჯგუფი, იმდენად უფრო დაახლოვებულნი არიან ერთმანეთთან.

გადავათვალიეროთ ჯერ ჩვენი ქალაქები და მერე სხვაგან წავიდეთ. მაგალითად ბათუმში, ტფილისში, ფოთში და ბაქოში თითქმის ერთგვარი მუშათა მდგომარეობაა. ქუთაისში და სხვა პატარა ქალაქებში მრეწველობა-წარმოება ძლიერ დაბლა დგას და ამიტომაც ადგილობრივი მიზეზები ძალიან ცოტა მუშებს იტოვებს. ქუთაისში და მზგავს ქალაქებში უფრო მეურნეობა-ოჯახობაში მოსახმარი მუშები არიან. მაგრამ ჩვენთვის ესენიც საჭიროა, რადგან ლაპარაკი საერთოდ ქართველ მუშებზე გვაქვს და არა მარტო ქარხნებ-ფაბრიკებში მომუშავეთა გუნდზე. შრომით მთელი მუშების გუნდი სამ ნაწილად უნდა დავყოთ: ა) მეურნეობა-ოჯახობაში მომუშავენი, ბ) ქარხნებ ფაბრიკებში თავმოყრილნი და გ) ნავთ სადგურებზე გამოსულნი. ამ დანაწილების მიხედვით (სხვა მიზეზთა შორის) იცვლის სახეს მუშათა შინაური ცხოვრება.

ქუთაისი, გორი, თელავი, ოზურგეთი და სხვა. მზგავსი პატარა ქალაქები და დაბები თავიანთ მიდამოებით წარმოადგენენ უფრო მიწად-მოქმედთა და შინაურ მრეწველთა ქვეყანას. ზოგიერთ ქალაქებში—როგორც მაგალითად ქუთაისია—არის ერთი ან ორი ფაბრიკა ან—ქარხანა, მაგრამ ეს დიდს არაფერს წარმოადგენს, ოფიციალურ ანგარიშით, რომლითაც ერთ დროს სარგებლობდა ბ. ფ. მახარაძე, ჩვენში ბევრი ფაფრიკები და ქარხნები ყოფილა. ჩვენში ასობით ხედვენ სამრეწველო-საწარმოვო დაწესებულებათ, მაგრამ როგორ დაღონებით—თუ სინამდვილეს გაეცანით. ავიღოთ მაგალითად ქუთაისი. ამ ქალაქში არსებობენ შემდეგი ფაბრიკები და ქარხნები: 1) თუთუნის ფაბრიკა ძმ. ფირალოვებისა, სადაც მუშაობენ მუდამ დღე არა ნაკლებ ორმოც კაცისა; ამ ფაბრიკაში ორთქლის პატარა მანქანაც შემოუღიათ ამ ბოლო დროს. 2) თუთუნის ფაბრიკა ბ. კაჭარავასი, სადაც ფირალოვის ფაბრიკასთან შედარებით ცოტაა მუშათა რიცხვი (თუ არ ვცდებით არა 29 მეტი). 3) სასმელების ქარხანა ორია, მაგრამ ორივეში ერთად მუშაობენ maximum (სულ დიდი) 5 ან 6 მუშა-კაცი, მუშაობა თითქმის პირველ სახის იარაღით ხდება, არც ერთი შრომის გასაადვილებელი მანქანა არა აქვთ. 4) შამპანიურ ღვინის ქარხანა პრინც ოლდენბურგისა აქ მუშაობენ 20 კაცი. არც აქ არის ორთქლის ან სხვ. მანქანა. 5) წყლების ქარხნები ხაინდრავასი, თევდორაძის, თებზაძის და ივანოვსკის (კუკოჩაშვილისა), ამ ოთხ ქარხანაში მანქანები აქვთ, ურომლისოდ არც მუშაობა შეეძლებოდა ქარხანას. მუშაობენ ყველაში ერთად არა მეტი ოც კაცისა, ამ რიცხვიდან ორი თუ სამი ბ. ხაინდრავას ყინვის საკეთებელ ქარხანაში მუშაობენ ცალკე. 6) ბ. მოსემვილის ხე-ტყის საწარმოვებელი ქარხანა (მანქანით) მუშაობს 5—6 კაცი. 7) საპნის ქარხანა ძმ. ვოლოხებისა, სადაც მუშაობს 4—6 კაცი; 8) კირის ქარხნები ორია (ერთი დუკლიაკის და მეორე ონჯიასი), მუშა ორივეს ცამეტამდის ჰყავს; 9) აგურის ქარხნები სამია, აქაც 10-ზე მეტი არ მუშაობს, ამათ გარდა კიდევ არის ორიოდე ქარხანა (სამღებრო და სხვ.), სადაც ხუთი ან ექვსი კაცი მუშაობს. საზოგადოდ ქუთაისში თუთხმეტზე მეტი ქარხანა და ფაბრიკები არსებობენ, რომელშიაც შუათანა რიცხვით 9 მუშაობს (რასაკვირველია ერთში), ერთი სიტყვით 150 კაცზე მეტს არ ითხოვს ქუთაისის ქარხნები. ევროპიელს რომ გამოუცხადოთ, პატარა ქალაქში კავკასიელებს 15—16 ქარხნები გვაქვსო განცვიფრდებიან ზოგიერთებსავით დაიტყვიან: „თქვენი ქვეყანა მალე ევროპად გადაიქცევაო.“ ასე სტყუიან ხშირად ციფრები. ოფიციალურად დასავლეთ საქართველოს ყველა სოფლებში ქარხანა (არყის სახდელი) არსებობს, მაგრამ ეს ხომ არყის სახდელი ქარხნებია, სადაც ერთის ქვაბით გლეხი ორს-სამ ვედრო არაყს ხდის. ამით განისაზღვრება ჩვენი სოფლელ მექარხნეების წარმოება. ესენიც რომ მართლა მექარხნეების რიცხვში ჩავთვალოთ, მტერს სასაცილოდ არ ვეყოფით.

ქუთაისის მაგალითი თუ მრეწველობა-წარმოების ტიპს არ წარმოადგენს სხვაზე რაღა გვეთქმის. თელავი, გორი და სხვ. ხომ სულ არაფერი არ არის. ამ ქალაქებში*) ჩამოსულნი მუშები ხშირად რამდენიმე დღე დარჩებიან და ისევ სახლში მიდიან. დილით გათენებამდის დანიშნულ ადგილზე იყრიან თავს სოფლიდან ჩამოსულნი მუშები თოხებით ან სხვა იარაღით. იქ მობრძანდება საქმის პატრონი და დაქირავებული სოფელი მიჰყავს სამუშაოდ. ასეთი სოფლელები ერთს დღეს ივანესთან მუშაობენ, მეორე დღეს სტეფანესთან და სხ. არ იციან რომელ დღეს ექნებათ სამუშაო, არ იციან წინ-და წინ რომელ დღეს რამდენს აიღებენ. ამ გვარ სახის სოფლელ-მუშებს არავითარი სპეციალური ცოდნა (დურგლობა ან სხვა რამ) არა აქვთ, ყველაზე უფრო მკირე ქირას ესენი იღებენ. მუშაობის დროს ძალიან ძვირად მოხვდებიან ერთად რამდენიმე პირნი, რადგან ისინი განცალკევებულ სახის შრომას ეძლევიან. ასეთის მუშაობის შემდეგ მიდის სადმე მიკიტანთან ან სხვა ამის მსგავს სადგომში და სადაც მიუთითებენ, იქ მიწვება ცოცხალ-მკვდარი. დაღლილი ყოველ გვარ სიწმინდეს მოკლებული; განთიადისას იგი ისევ დაშორდება თავის სოროს და მიდის შრომის საძებნად, ბინაზე მისვლის დროს იგი არ კითხულობს—არიან თუ არა იქ სხვა მუშები, უკანასკნელთან საერთო არაფერი არა აქვს. აგრე ყოველსავე მოწყვეტილი დღეში 11 საათის მუშაობით მოქანცული ატარებს დღეებს, თვეებს და მიდის ისევ სოფელში ორიოდე გროშით ამ ტიპის მომუშავეთ დაახლოვება და მტკიცე მჭიდრო კავშირი არა აქვთ ადგილობრივ მუშათა გუნდთან, რომელთა—რიცხვი—როგორც ვთქვით მცირეა.

ადგილობრივი მუშები, რომელნიც ქარხნებ ფაბრიკებში მუშაობენ, არ არიან დაინტერესებულნი დროებით სოფლიდან ჩამოსულ მომუშავეთა ბედით. ეს აგრეც უნდა იყოს, რადგან მუშათა უმრავლესობას ამ რაიონებში მეურნეობა-მეოჯახობა იწვევს, სადაც ასეთი გარემოება ამოჰყოფს თავს, სადაც ქარხნებში მომუშავეთა რიცხვი მცირეა, იქ აგრეც უნდა მოხდეს. თუ ეს აგრე ხდება, ეს კიდევ ადგილობრივ მუშათა კეთილ მდგომარეობას არ გვიხატავს. ესენიც არ არიან სანატრელ მდგომარეობაში. ადგილობრივ ქართველ მუშებს ემატება სხვა ტომის მუშებიც, რადგან ეს თუ ის წარმოება-მრეწველობა ითხოვს სხვა-და-სხვა სახის სპეციალისტებს, ასეთები ქართველ მუშებში ძლიერ ცოტაა, ამიტომაც უფრო სარგებლიანი ადგილი სხვა ტომის ხალხს აქვს ჩავარდნილი ხელში. ქართველ მუშას დარჩენია სულ უბრალო მარტივი საქმიანობა. ამ მიზეზების გამო ქართველი მუშა იღებს ძლიერ მცირე ქირას. ქირის სიმცირე არ აკმაყოფილებს სხვა-და სხვა მოთხოვნილებას, ამწვავებს ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობას (განსაკუთრებით თუ ოჯახის პატრონია) და ვინ იცის—რა უ-
სკრულში მიდის... ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ამ პატარა ქალაქებში ძლიერ მცირეა ქარხნებში მ-
მუშავეთა რიცხვი, ამით სხვა მ-
ზეზთა შორის, აიხსნება მუშათა
დაქსაქსვა, ერთობის არ ქონა
სხვ. ამ გარემოებას ხელს დიდ-
უშლის მუშათა გუნდის სხვა-დ-
სხვაობა: ნამეტნავად გაჭირვებუ-
ჯგუფს პატარა ქალაქებში ძლიე-
მცირე რიცხვი შეადგენს. შეძლ-
ბულნი მუშები უფრო უცხოელ-
ბი არიან (ე. ი. უცხო ტომისანი)
და იმათთვის სულ ერთია ქართვე-
მუშის ბედი რასაც უნდა წარმოა-
გენდეს, ზოგნი მტრულის თვალ-
თაც კი უყურებენ. ყოველ-
ეს პაწია ქალაქებში სიმცირის გ-
მო, თუ ძალიან არ დააკვირდ-
არ ჩანს და არც ყურადღებას ი-
ცევს მაინც და მაინც. ქარხნებ-
მომუშავენი (პატარა ქალაქებშ-
ქართველნი უფრო ადგილობრ-
ნი არიან ან რავდენიმე წლით
მოსულნი სოფლიდან. ამათ შ-
რის მცირე წლოვანი და ბავშ-
ბიც ბევრნი არიან. ქარხნებში
მუშავეთ რაც უნდა იმას უშვრ-
საქმის პატრონი, ან რა უნდა ჰქ-
როცა ჩვენში ჯერ არავინ კო-
როლს არ უშვრება!

ასეთია პატარა ქალაქების მ-
შათა ... (ქართველი
სოფლელი), რომელნიც ერთ-
ნეთს ვერ უახლოვდებიან მ-
და მაინც. დიდ ქალაქებში მო-
შავებთან შედარებით ესენი უფ-
თავდაჭერილნი არიან, უფრო მ-
ფულს უყრიან თავს (მიუხედა-
იმისა, რომ ცოტას იღებენ)
უფრო შველიან თავიანთ ოჯ-
მომჭირნეობას და დაწყნარე-

---

*) ... ქუთ. ...

*) აქ უნდა მივიღოთ სახეში ჭიათურა და ტყიბულა (დაბები) მ. ბ.

...ვრებას ამ მუშებში იწვევს ...ხის სიახლოვე, ნაცნობების იქ... ყოფნა, ნათესავების ხშირი ჩა... ვლა (კანტროლი) ათასგვარ ...ათის გამფუჭებელ დაწესებუ...ათა უქონლობა და სხვ. ეს უმ... ...ესად სოფლელებს შეეხება.

მალაქია ბოლქვაძე

*** დ. ზესტაფონი. სამკითხ...ის საქმე. არ იქნა არაფრის ...ო ჩვენი სამკითხველოს საქმის ...ყობა, აგერ სამი წელიწადია ...ერთ სამკითხველოს ვაბორ...ებთ. არ გამოვიდა ისეთი კაცი, ...მ სამკითხველოსთვის გული ...ტკიოდეს, მართალია ჰყავს სამ...ხველოს გამგეობა, მაგრამ მის...ნა თქვენს მტერს სამკითხვე...ს საქმე ფეხებზე ჰკიდიათ, თვე... ერთხელაც არ შემოიხედვენ ...კითხველოში. ახლა შევიტყეთ, ...მ სახლის ქირა, ნავთის ფული ...სხვა ხარჯები სულ გაუსტუმ...ელია. რამდენიმე გაზეთის ...ვნა (ალბათ უფულობის გამო) ...პეს... და ასე სამკითხველო ...მოადგენს მხოლოდ ერთს ცა...ლ დარბაზს. ეჰვს გარეშეა, ...ს ამისთანა მზრუნველობაში ...კითხველო დიდს ხანს ვერ ...ცხლებს და გაქრება იგი ყვი...ის ახალ-გაზდობის სასირც...ლოთ. ნუ თუ ამხელა დაბაში ...ი სამკითხველოს შენახვა გას...და?. ჩვენ ეს არ გვსურდა,-ყო...ივე ამის მიზეზი ჩვენის ფიქ...ო გამგეობაა. არ შეგვიძლია ...ი წინადადება არ მივსცეთ ...ნს დაძაბუნებულს სამკითხვე...ს გამგეობას: ყვირილის სამ...ხველოს გამგენო! გულით და ...ლით გირჩევთ საქმეს ერთგუ...ო მოჰკიდოთ ხელი, იზრუნოთ ...სამკითხველოს საქმე უზრუნ...ლ ჰყოთ და თუ ეს არ გნებავთ, ...მინ გთხოვთ გამგეობაზე ხელი ...ოთ. ღვთის მადლით, ჩვენ და...ში კიდევ მოიძებნება იმისთანა ...კი, რომ სამკითხველოს საქმე, ...ვრო ხეირიან ნიადაგზე დააყე...ს ვიდრე თქვენ... იმედია ამ ...ში ერთსა და ერთს აირჩევთ ...მით იხსნით სამკითხველოს ...ნსაცდელისაგან.

ერთი წევრთაგანი ნ.—ძე

*** ს. გეგუთი. უტაბედო მკვ...ელობა. ამა 1899 წ. 9 მაისს ...ფელ გეგუთში მოხდა უეცარის ...მთხვევით მკვლელობა, ეს ზემო ...ხსენებული სოფელი იმყოფება ...თაისზედ ათის ვერსის მანძილ...ზე და იციან დღეობა უკანეთო... ...რომელზედაც დიდი თავყრი...ობა იციან და დროს გატარება ...ოგი ჯირითით ატარებს დროს, ...ოგი ბურთაობით, ზოგი ცეკვით ...ასე შეექცევიან და ატარებენ დროს. ამ დღეობაზედ მიანდვეს სიმშვიდის დაცვა ქუთაისის და სოფელ პოტრიკეთის საზოგადოების მამასახლისს. ერისთავმა, ჯაიანმა ☉ მამასახლისმა სიმშვიდის დასაცველად მოუყარეს თავი იქაურ სოფლელ ხევის თავებს კარგად შეიარაღებულს, ასე რომ ყველას მათგანს ქონდა ტყვიით გატენილი თოფები· ხევის თავები საუბედუროდ ძალზე მთვრალები იყვნენ, ხალხში რაღაც უსიამოვნება მოხდა და მამასახლისმა უბრძანა ხევის თავებს, მოსპეთ ჩხუბიო. ერთმა მთვრალმა ხევის თავმა, გვარად სოფრომაძემ, დაჰკრა თოფი მოჩხუბარ ცლეხს თავში ჩახმახით, თოფმა უეცრივ იგრიალა და ტყვია მოხვდა იქვე მდგომს იქაურსავე აზნ. მოსე გრიგოლაშვილს შიგ გულში და სული გაანთხევინა. მკვლელი სოფრომაძე დაიჭირეს და გამოძიებაშია.

გიორგი მდივანი

# თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა. კვირას, 16 მაისს, ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწის ბ. ბაქრაძის თაოსნობით გერმანელების ბაღში გაიმართა ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო საყვარელი პიესა „მათიკო“ დრამა ხუთ მოქმედებიანი აქსენტი ცაგარლისა. საზოგადოება მრავალი დაესწრო, ასე რომ მთელი დარბაზი გაჭედილი იყო მაყურებლებითა. მოთამაშენი ძალიან დაკვირვებოდნენ თავიანთ როლებს; ყველაზე უფრო დიდი ყურადღება მიიქცია ქ. ხაფთასიმ მათიკოს როლში, ნამეტნავათ უკანასკნელ მოქმედებაში. კნეინა მარიამ და ქეთევანი, გაბოს ნათლიდედა, ქ. გამაკიძემ კარგათ ჩაატარა, მეტადრე ქეთევანის როლი მესამე მოქმედებაში; კარგათ ითამაშეს: ბბ. ძნელაძემ;—თინიკა უმტვინაძე;იმერიძემ.—პოლიევქტოს (ცოტა როლი არ იცოდა); შველიძემ —კოლა ფიცხელაძე; თუშმალიშვილმა —თომა, გაბოს ნათლიმამა, და ქართლელმა — ზაქარია; ბბ. ჯაბაური — გაბოს როლში და შველიძე —ოსეფა მიკიტანის როლში უფრო კარგები იქნებოდნენ, რომ პირველს უფრო ხალისიანათ ეთამაშნა; კარგი იყო ბოლო მოქმედებაში, როდესაც მთვრალს განუცხადებენ მათიკოს სიკვდილს და ზედ აკლავს თავს; ხოლო მეორეს კი პარიკი არ უვარგოდა და არც ჩაცმულობა იყო მოსაწონი, როლი კი მშვენივრათ ჩაატარა. მესამე მოქმედებაში ხორომ მშვენივრათ შეასრულა კახური მრავალ-ჟამიერი და რამდენიმე სიმღერა.

შემდეგი წარმოდგენა, როგორც გაგიგეთ, დანიშნულია კვირას, 23 მაისს, სუნდუკიანცის პიესა „პეპო“.

დ. ს—ძე

## ყურმოკრული საუბარი

— კოტე, როგორ არა გრცხვენიან, ნეტა ისეთი ზარმაცობა, განა არ ხედავ როგორ მუშაობს შენი ძმა სანდრო?

— მერე და განა მე აღარ ვშველი სანდროს?

— რაში შველი?

— ჩემს ძმას იმდენი საქმეები აქვს, რომ მოსვენების დრო არ მოეპოვება და მის მაგიერ მე ვისვენებ ხოლმე!..

*
* *

— მაშ აღარ გიცნობ პეტრემ, აღარა?

— სრულებით ვერ მიცნო, საბრალო ალბად ავად არის.

— ოღონდაც.

— რა ავადმყოფობა სჭირს?

— გამდიდრდა და იმიტომ აღარავის სცნობს.

## რჩეული აზრები

✦ მოთმინება მეტად მწარეა, მაგრამ ტკბილ ნაყოფს კი იძლევა.

✦ ნაკლულევანების ქონვა დიდი უბედურებაა, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის არის, როცა კაცს თავის ნაკლულევანების დანახვა არა სურს.

✦ შედარებით ყოველი დღე თანაბარია მთელის სიცოცხლისა, ყოველი გამოღვიძება დაბადებაა, ყოველი დილა სიჭაბუკეა, და ყოველი ძილი სიკვდილია, რა თქმა უნდა შედარებათ.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათან სააგენტოსაგანი“).

13 მაისი.

**ყაზანი.** მდინარე კაზანკაზედ დიდის ქარის დროს გადაბრუნდა ნავი, რომელშიაც 20 მუშა თათარი იჯდა. 8 კაცი დაიხრჩო.

**ხარკოვი.** ქალაქის საბჭომ გადასდო 127,000 მანეთი იმ სკოლების შენობისთვის, რომელიც პუშკინის სახელობაზედ უნდა დაარსდეს.

**გელსინგფორსი.** მუშა მალმელინი, მკვლელი 7 კაცისა, შეპყრობილ იქმნა. მკვლელობის მიზეზი ის არის, რომ ის, ვისთანაც მალმელინი მუშაობდა, ამ უკანასკნელს ცუდად ექცეოდა.

**გააგა.** დედოფალი ვილჰელმინა და დედა დედოფლისა აქ მოვიდნენ.

**გააგა.** იმპერატორმა ნიკოლოოზმა უბოძა დედოფალს ვილჰელმინას ორდენი წმ. ეკატერინესი. დედოფალმა მიიღო ელჩი სტაალი, რომელმაც გადასცა ორდენი. ხვალ დედოფალი გაიგიდგან მიდის.

**პარიჟი.** პალატამ უკამათოთ შეიწყნარა წინადადება იმის შესახებ, რომ მარშანის ექსპედიციის ყველა წევრს მიეცეს საახალშენო მედალი. ამ გადაწყვეტილებას პალატა ტაშის ცემით შიეგება.

14 მაისი.

**პეტერბურგი.** 14 მაისს, გვირგვინის კურთხევის დღეს, გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი ისაკიევის ტაძარში. დაესწრნენ დიდნი მთავარნი და წარჩინებულნი კაცნი· პარაკლისები გარდახდილ იქმნა სხვა ეკკლესიებშიაც. დღისით ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული, ღამე გაჩირაღდნებული.

**მადრიდი.** კასტელარი გარდაიცვალა.

**მოსკოვი.** ყველა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი მათის უდიდებულესობის ღ დეგრძელობისათვის.

**ყაზანი.** პარაკლისი მათის უდიდებულესობის დღეგრძელობისათვის გარდახდილ იქმნა ყველა ეკკლესიებში.

**მადრიდი.** კასტელარს სახელმწიფო ხარჯით დაასაფლავებენ·

**პარიზი.** გალლიენი პარიზში მოვიდა.

15 მაისი'

**ხაბაროვსკი.** ჩიფუდგან იუწყებიან, რომ ალმასის მადნები იჩეუს ოლქში, შან-დუნის პროვინციაში, რომელნიც ჩინელებს ეკუთვნოდა, გერმანიის ერთმა სავაჭრო ფირმამ შეიძინაო. ეს მადნები იმით არის შესანიშნავი, რომ მთელი ჩინეთის სამყოფ ალმასს იძლეოდა.

**მადრიდი** პოლავიეხამ დეპეშა მიიღო, რომელიც იუწყება, რომ ესპანელებმა ზამბოაგუ დასცალესო. ფილიპინელები თხოულობდნენ, რომ ციხე ჩაჰბარებოდათ მათ იარაღით და სურსათით; ესპანელებმა უარი განაცხადეს. ბრძოლა ასტყდა. ამერიკელებს ჯერ არ დაუჭერიათ მინდანაო.

**პარიზი.** სენატმა შეიწყნარა ბიუჯეტი, მაგრამ რამდენიმე ადგილი შესცვალა, რის გამოც ბიუჯეტი ისევ პალატას უნდა დაუბრუნდეს.

**ტულონი.** ზღვის პიროტეხნიკურ ლაბორატორიაში, ლაგუბრანის თოფის წამლის ქარხნის მახლობლად, ყუმბარა აფეთქდა. ერთი კაცი მოკლულ იქმნა. ათი დაჭრილია·

**პარიზი.** დღეს გილლენმა მიიღო გენერალი გალიენი.


# ექიმი

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

ივემეთ ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიობით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა **ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—24)

# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦНѢА на ГАЗТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — |
| На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

### ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невск'й № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ—по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужашіе же могутъ обрашаться съ своими заявленями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделрные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

### ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп. позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ, автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемыя безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

### ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:

1 Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3) Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А Н. Черный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Миллюнеръ» повѣсть В Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П Плетневъ.

Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ: Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ).

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софій, Константинополѣ, Одессѣ и т. п.

(8—1)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебн** **заведеній**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2- часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣся

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ари тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счет 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (52 дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ** **мтора: Михайловская ул., № 71.** (100—2

### ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ для самообразованія

# МІРЪ БОЖІЙ

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и пом же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія пр толагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. Р ипкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артур (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), р Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Гор го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разск г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» про Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; « льзъ Парнель», Ев Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», ч Ш. П. Милюкова. «Александръ I и его время»,А. Прѣсякова: «А. С. П кинъ (юбилейная статья). Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иван «Ада Негри», В. Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживи го; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріу эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, настоящее и будущее, д-ра философіи В Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной фил фіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайн обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ запад литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Те щія научныя новости. Библіографія. Новости иностранной тературы.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб
Безъ доставки на годъ . . . . . 7 »
За границу на годъ . . . . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

**По полугодіямъ;**

Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р
За границу . . . 5 р.
Безъ доставки по соглашенію конторой

**по третямъ года:**

Съ доставкой и пересылкой во города Россіи;
въ январѣ . , .
» маѣ . . .
» сентябрѣ . . .
За границу: въ январѣ .
» » » маѣ . .
» » » сентябрѣ .

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова*. Редакторъ *В. П. Острогорск*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Мая 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი გ. ჟ.